ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
,,არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირის - ,,თერჯოლის სპორტულ
გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი''

წერილის ნომერი: **14-28233395**
თარიღი: **05/12/2023**

ადრესატი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ მანუჩარ რობაქიძეს

2023 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თათბირის ოქმის N29 შესაბამისად:

,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“ მოგახსენებთ, რომ ცენტრში არსებულმა ყველა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სულ 140 გასვლით ღონისძიებაში. ადგილზე ჩატარდა 2 ღონისძიება მიშიკო აბაშიძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა სამბოში და გურამ ბერეკაშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილი გვაქვს ჭიდაობა ძიუდოში მერიის თასის გათამაშება.

სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა 2023 წელს შეჯიბრებებში (სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები) მოიპოვეს 30 ოქრო, 42 ვერცხლი და 83 ბრინჯაოს მედალი.

პოლონეთის ქალაქ ბელსკობეილაში ჩვენმა არზრდილმა ზურა გავაშელაშვილმა მსოფ-ლიო ჩემპიონატზე ქამრიან ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი აიღო.

ბულგარეთის ქალაქ კრანევოში ევროპის ჩემპიონატზე კარატეში ელენე გურაბანიძემ ვერცხლის, დათო ნიკოლაძემ და გიორგი რობაქიძემ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

საფრანგეთის ქ.ანტიბეში ევროპის ჩემპიონატზე კარატეში ბავშვთა კარატეს მწვრთნელმა ირაკლი ღონღაძემ ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მიენიჭა მეხუთე დანი.

საქართველოს ჩემპიონატზე კინგბოქსინგში რამაზი ბარდაველიძემ და მათე ქუთათელაძემ მესამე ადგილი დაიკავეს.

ქ.თბილისში საქართველოს უშუს მეშვიდე ჩემპიონატზე ლუკა ფანჩულიძემ მეორე ადგილი, გიორგი რობაქიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

ქ.კასპში საქართველოს ჩემპიონატზე ქართულ ჭიდაობაში გიორგი კუბლაშვილი ბერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

საქართველოს ჩემპიონატზე ჭიდაობა სამბოში ზურა გავაშელაშვილი მესამე ადგილის, ხოლო ნიკა ბრეგვაძე მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

2023 წლის დაფინანსების პროგრამა დაზუსტდა 765000 ლარით, სპორტის სასახლეში შეიცვალა ტრიბუნები, ცენტრალურ სტადიონზე ნაწილობრივ გადაიხურა შენობა, სპო-რტულ სკოლაში გარემონტდა და შეიღება საჭიდაო დარბაზები.

ირაკლი ჩხეიძე

თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-
გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი